

პროგრამის სახელწოდება

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

არქიტექტურის ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, პროგრამის კურსდამთავრებულს:

- მისცეს ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქიტექტურაში; სტუდენტმა კრიტიკულად გაიაზროს არქიტექტურაში არსებული მიმდინარეობები, შეძლოს არქიტექტურაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- შეეძლოს თანამედროვე ქალაქის წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების გააზრება და პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ალტერნატივის შეთავაზება;
- შეეძლოს კვლევის, კვლევაზე დაფუძნებული შენობის არქიტექტურის პროექტირების და არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტის უნარების განვითარება;
- ფლობდეს არქიტექტურული ნამუშევრის გამოხატვის სხვადასხვა პროგრამას და ტექნიკას, რაც ასე აუცილებელია არქიტექტურული იდეის სწორად გადმოსაცემად.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა **პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას**. თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულია არქიტექტურული პროექტირების სტუდიური სწავლების დიდი წილი. სწავლების აღნიშნული მეთოდი გულისხმობს საგნის თეორიულ შესწავლასთან პარალელურად მის პრაქტიკაში რეალიზებას. სტუდენტები ჩაებმებიან ინტერაქტიულ სწავლებაში და საკუთარ ცოდნას გამოიყენებენ სხვადასხვა პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების სიღრმისეულად შესწავლას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

დასაქმების სფეროები

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი მიიღებს არქიტექტურის სფეროში თანამედროვე, უახლეს ცოდნას და გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და წარმატებულ კარიერას, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მსოფლიოში არსებული 5 მონინავე საგანმანათლებლო დაწესებულების არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით, კერძოდ: Massachusetts Institute of Technology (MIT); UCL (University College London, Bartlett School of Architecture); ETH Zurich; Politecnico di Milan; Washington University in St. Louis (Sam Fox School of Design & Visual Arts).

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგი პროფილის მქონე კომპანიებში, სახელწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში:

- არქიტექტურა;
- სამოქალაქო ინჟინერია;
- მშენებლობა და სამშენებლო პროექტების მართვა;
- ქალაქგეგმარება.

შესაბამისად, არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ საკმაოდ ფართო დასაქმების პერსპექტივები, ისინი შეიძლება დასაქმდნენ არქიტექტურულ, სამშენებლო, დეველოპერულ, საპროექტო და დიზაინერულ კომპანიებში. კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გავრძელებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კომბინირებული წესით:

- შემოქმედებითი ტური და
- ერთიანი ეროვნული გამოცდები (სამი სავალდებულო საგანი: ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).

შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესი მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტში.

პროგრამაზე ჩარიცხვის დროს გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესალებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

სწავლის შედეგები

ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად, კურსდამთავრებული გააცნობიერებს კომპლექსურ საკითხებს არქიტექტურაში, მშენებლობასა და ქალაქგეგმარებაში. კურსდამთავრებულს ექნება არქიტექტურის სფეროს ფართო ცოდნა, რაც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. კურსდამთავრებულს ექნება არქიტექტურის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებისა და განვითარების ეტაპების ცოდნა; ცალკეული ეპოქებისა და რეგიონების/ქვეყნების (მაგ.: ახლო აღმოსავლეთი, საქართველო, თანამედროვე დასავლეთ ევროპა და ამერიკა, აღორძინების ხანა, შუა საუკუნეები) კულტურული მემკვიდრეობის, ასევე არქიტექტურული ნამუშევრების/ნიმუშების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების ძირითადი კრიტერიუმებისა და მახასიათებლების ცოდნა; საქართველოს ურბანული განვითარების ძირითადი ტენდენციების და გლობალური ურბანული განვითარების ტენდენციებთან მათი მიმართების შესახებ ცოდნა; დარგის საფუძვლებისა და მახასიათებლების ცოდნა; არქიტექტურული იდეების გამოხატვის სხვადასხვა ტექნიკური მეთოდების ცოდნა; შენობის არქიტექტურული პროექტირება და პროექტირების მენეჯმენტისათვის აუცილებელი ასპექტები; გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო საფუძვლები; პროექტირებისათვის აუცილებელი კვლევის მეთოდები; კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება

სივრცითი, მატერიალური და კონცეპტუალური გამოწვევები არქიტექტურაში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად, კურსდამთავრებული შეძლებს შენობის დაპროექტებას და საპროექტო ეტაპების დაგეგმვას; არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელებას; არქიტექტურული პროექტირების დაგეგმვასა და მენეჯმენტს; გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო ცოდნის არქიტექტურული საქმიანობისას გამოყენებას; შეძლებს შენობის გარემოს სისტემების მართვას; არქიტექტურული იდეების გამოხატვის ტექნიკებით გადმოცემას (მათ შორის: ჩანახატი, ნახაზი, მაკეტირება, ვედეო, ფოტო, CAD, GIS, Illustrator, BIM, და ა.შ); საკუთარი არქიტექტურული პროექტის გამოფენისთვის მომზადებას, და გამოფენის ორგანიზებას;

დასკვნის უნარი - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად, კურსდამთავრებულს ექნება არქიტექტურული სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებისა და განმარტების უნარი, ასევე, შეეძლება განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სათანადო მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად, კურსდამთავრებულს შეეძლება იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ინფორმაციის ზეპირად გადაცემა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. კურსდამთავრებულს ექნება სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში მონაწილეობის უნარი; წერილი და ზეპირი პრეზენტაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე; გუნდური მუშაობის უნარი;

სწავლის უნარი - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად, კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას. კურსდამთავრებულს ექნება სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; შეძენილი ცოდნის მუდმივი განახლებისა და ცვალებად ინფორმაციასთან ინტეგრირების უნარი; არქიტექტურულ სფეროში მიმდინარე სიახლეებს მოძიების და გაცნობის უნარი;

ღირებულებები - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად, კურსდამთავრებულს შეეძლება მონაწილეობის მიღება არქიტექტურულ სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კურსდამთავრებულს არქიტექტურული საქმიანობისას ექნება განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; შეეძლება განსხვავებული აზრისა და შეხედულების პატივისცემა.

სწავლისა და სწავლების მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობები და სიმულაციები. სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი, ესეი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები განვრცობილია სილაბუსებში.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მონვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

კომპონენტი	ETCS
საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნები	50
არქიტექტურის ზოგადი განათლების საგნები	4
არქიტექტურის საბაზო განათლების საგნები	16
პრაქტიკული განათლება	7
არქიტექტურის ძირითადი განათლების საგნები	151
არჩევითი საგნები	12

სულ 240

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების აღწერა

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნები

ანთროპოლოგია

მეცნიერება ადამიანის შესახებ, როგორც ცალკე დისციპლინა, წარმოდგენილი იმ ფორმით, როგორითაც ჩვენ მას თავისუფალი უნივერსიტეტის პირველკურსელ სტუდენტებს ვთავაზობთ, საქართველოში იშვიათად ისწავლება. კურსი განიხილავს ადამიანის ადგილს ბუნებაში და მის მიერ დღემდე განვლილ განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, ასევე თანამედროვე სამყაროში არსებული ხალხებისა და საზოგადოებების მრავალფეროვნებას. სტუდენტები გაეცნობიან იმ თეორიებს, მეთოდებსა და აღმოჩენებს, რომელსაც ეფუძნება დღეს არსებული ცოდნა ადამიანზე. სემინარებზე სტუდენტები გაეცნობიან კლასიკურ და თანამედროვე ნაშრომებს, რომელთა გამოყენებითაც თავად ექნებათ საშუალება შეარჩიონ თემა და იმსჯელონ საკვანძო საკითხების გარშემო. სპეციალურად შერჩეული სამეცნიერო დოკუმენტურ ფილმები კი მათ რთულად აღსაქმელი საკითხების უკეთ გაგებაში დაეხმარებათ.

ეკონომიკის საფუძვლები

ფუნდამენტური იდეები, რომელთაც ეს კურსი მოიცავს, წარმართავენ ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობას, განსაზღვრავენ მათი, როგორც მომხმარებლების, მწარმოებლების, თუ მენეჯერების ქცევასა და გადაწყვეტილებებს. ჩვენი ცხოვრების დონის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ჩვენს უნართან შევექმნათ საქონელი და მომსახურება, ვიყოთ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ძირითადი ეკონომიკური კანონების ცოდნასა და ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათთვის, ვინც აპირებს საქმიანობას ადგილობრივსა თუ გლობალურ ბიზნესში, ან თუნდაც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

მსოფლიო ისტორია და საქართველო

კურსის განმავლობაში გაანალიზდება ადამიანის ფენომენის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური წვლილი საზოგადოების

განვითარების ჭრილში. ყურადღება დაეთმობა ინტერკულტურულ ურთიერთობებს და ეთნოცენტრისტულ პრობლემას, გენდერულ საკითხებს. კურსის ერთ-ერთი სეგმენტი ასევე დაეთმობა ქართული /ქართველური ენობრივი სამყაროს/სივრცის ფორმირების საკითხებს უძველესი პერიოდიდან დღემდე. განხილული იქნება ქართული ენის ეროვნულ ღირებულებად ჩამოყალიბების ისტორიულ-კულტურული პროცესი.

ბუნებისმეტყველება

ბუნებისმეტყველების კურსი მოიცავს ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს არსის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები გაეცნობიან თეორიებსა და აღმოჩენებს, რომლების საფუძველზე მოხდა თანამედროვე ბუნებათმცოდნეობის ფორმირება და რომლებიც გავლენას ახდებენ ჩვენი ცხოვრების მრავალ ასპექტზე. სემინარებზე შეისწავლება „ექსპერიმენტული აზროვნების წესი“, როგორც კლასიკური და თანამედროვე ნაშრომების, ასევე სტუდენტების მიერ დამუშავებული პროექტების პრეზენტაციის კრიტიკული განხილვის გზით. კურსის შემადგენელი კომპონენტებია არსებითი ფიზიკა და ბიოლოგია. ფიზიკა წარმოადგენს მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. კურსი მოიცავს თანამედროვე ფიზიკის თითქმის ყველა სფეროს და მისი დანიშნულებაა სტუდენტს მისცეს უმთავრესი ცოდნა ფიზიკის არსებითი კანონებისა და კანონზომიერებების შესახებ. ბიოლოგიის ნაწილი წარმოადგენს ბიოლოგიის ისტორიასა და მეთოდოლოგიას, კრიტიკული აზროვნების [შემდგომი] განვითარებას, ექსპერიმენტული აზროვნების წესის გაცნობას. კურსი არ არის გამიზნული საბუნებისმეტყველო სპეციალიზაციის აუდიტორიისათვის. ამიტომ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ იქნება გამოყენებული (თუნდაც) ელემენტარული კალკულუსი და რთული ბიოლოგიური ანალიზი.

ლოგიკა

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის დედუქციური და ინდუქციური ლოგიკის კლასიკური მეთოდებს, არგუმენტაციის (ბჭობა-განსჯის) ანალიზისთვის მათ გამოყენებას, არგუმენტაციის ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ლოგიკური შეცდომებს.

თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები

კურსის მიზანია, თანამედროვე იდეოლოგიების შესახებ ზოგადი ცოდნის მიცემა, იდეოლოგიის ცნების, ისტორიის და ევოლუციის შედარებითი კრიტიკული ანალიზი. კლასიკური იდეოლოგიების (ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, ნაციონალიზმი, ანარქიზმი, სოციალიზმი, ფაშიზმი) პარალელურად, განხილული იქნება ახალი მიმდინარეობებიც (ეკოლოგიზმი, ანტიგლობალიზმი, ფემინიზმი).

ლიტერატურა და ხელოვნება

კურსის მიზანია, სტუდენტები გაეცნონ დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზას, ძირითად ტენდენციებს და მიდგომებს, ხელოვნების ნიმუშებსა და მათი რეცეპციის პარადიგმებს.

ფილოსოფია

ფილოსოფიის კურსი ორიენტირებული იქნება ფილოსოფიის გააზრებაზე, არა როგორც მხოლოდ აკადემიურ დისციპლინაზე, არამედ როგორც 'ცხოვრების წესზე'. კურსის მანძილზე განხილული იქნება ერთი მხრივ კაცობრიობის მიერ დასმული ყველაზე მწვავე ფილოსოფიური პრობლემები, ხოლო მეორე მხრივ ფილოსოფია დანახული იქნება ისე, რისთვისაც ის იყო შექმნილი: როგორც გზა 'უკეთესი ცხოვრებისათვის'.

ფსიქოლოგია

სტუდენტებს მიენოდებათ ბაზური ინფორმაცია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, შესახებ; ისინი გაეცნობიან საგნის სპეციფიკას, ფსიქოლოგიის ძირითად მიმართულებებს, მეთოდებს, ძირითად ფსიქიკურ ფუნქციებს, მიიღებენ წარმოდგენას პიროვნებისა და მისი ძირითადი მახასიათებლების, აგრეთვე ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ; განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სოციალური ფსიქოლოგიაზე, რომელსაც აინტერესებს, თუ რას ფიქრობენ ადამიანები ერთმანეთის შესახებ, რა დამოკიდებულებებში არიან, როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე და როგორ გამოიხატება ეს ყველაფერი ქცევაში; რა კანონზომიერებები განსაზღვრავს ადამიანებს შორის სიმპათია-ანტიპათიას, რატომ ვიქცევით ზოგჯერ

ჩვენი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, როგორ ვიცავთ თავმოყვარეობას, რატომ მივმართავთ აგრესიას, როგორ ვაფასებთ საკუთარ თავსა და სხვებს, როგორ ყალიბდება შეხედულებები და როგორ იცვლება ისინი.

საყოველთაო მათემატიკა

საყოველთაო მათემატიკის კურსი საინტერესო და მისაწვდომი ფორმით მიმოიხილავს თანამედროვე მათემატიკის ძირითად დარგებს და აჩვენებს მათი გამოყენების შესაძლებლობებს. კურსის ფარგლებში ხდება სტუდენტებისათვის მათემატიკის უმთავრესი დარგების გაცნობა, სხვადასხვა პრაქტიკული გამოყენებების ილუსტრაცია და მათში მათემატიკური აზროვნების ჩვევების ჩამოყალიბება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აზრის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემის უნარის განვითარებას.

ინგლისური ენა

კურსი ორიენტირებულია ინგლისური ენის ოთხი ძირითადი ენობრივი საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე: კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა.

- კითხვა - ამ ეტაპზე სტუდენტი კითხულობს სხვადასხვა ფორმატის ინგლისურენოვან საკითხავ მასალას (სტატია, წერილი, დღიური, მოთხრობა, განცხადება და ა.შ.).
- წერა - სტუდენტი მოცემული ინფორმაციის საფუძველზე წერს სხვადასხვა შინაარსის წერილს, თხზავს თხრობით ტექსტს, გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებას, ეცნობა წერის ოფიციალურ და არაოფიციალურ რეგისტრს.
- ლაპარაკი - ინტერაქტიული მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტს სიმულაციური სიტუაციების დახმარებით ისაუბროს სხვადასხვა ყოფით გარემოში, მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში, გამოხატოს საკუთარი შეხედულება.
- მოსმენა - ამ უნარის განსავითარებლად სტუდენტი ისმენს როგორც ცოცხალ მეტყველებას, ასევე აუდიო ჩანაწერებს. მოსმენის სავარჯიშოები ავითარებს სტუდენტის უნარს ამოიცნოს კონკრეტული ინფორმაცია და გაიგოს საუბრის ზოგადი შინაარსი ბმულ მეტყველებაში.

კურსის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გრამატიკისა და ლექსიკის სწავლებას და კურსი სრულად მოიცავს აღნიშნული დონის შესაბამის გრამატიკულ

და ლექსიკურ მასალას. ამასთანავე, გრამატიკისა და ლექსიკის სწავლება ინტეგრირებულია საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების სწავლებასთან.

არქიტექტურის ზოგადი განათლების საგნები

რაოდენობრივი და სივრცითი აზროვნების წესი

კურსში განიხილება ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ხაზვისას გამოყენებულ ინტუიციურ წარმოდგენებს. კერძოდ, შესწავლილი იქნება აქსიომატური მეთოდი, სივრცული და რაოდენობრივი ცოდნის მკაცრი დაფუძნებისა და დამტკიცების ისტორიული ევოლუცია, სივრცული და რაოდენობრივი აზროვნების ურთიერთდამატებითობა, აზროვნების წარმოსახვით-ინტუიციური და ფორმალურ-ლოგიკური კომპონენტების ურთიერთქმედება. გავარჩევთ გეომეტრიული და რიცხვით-ალგებრული სტრუქტურების ელემენტარულ თვისებებს და მათ კავშირებს მხატვრობასთან, ასტრონომიასთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ბუნებასთან და ტექნიკურ პროგრესთან.

არქიტექტურის საბაზო განათლების საგნები

ხატვის სტუდია

ეს შესავალი კურსი მოიცავს ხატვის სხვადასხვა მეთოდით სტუდენტებისთვის ხედვისა და გამოხატვის საფუძვლების სწავლებასა და განვითარებას. კურსის სტრუქტურა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის ხაზის, ლაქის, მოცულობის, ფაქტურის და მასშტაბის გამოყენების ხერხების გაცნობას და მათი საშუალებით მოდელთან მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტის აღქმის განვითარებას და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას. კურსის მიმდინარეობისას მოხდება ლექსიკისა და ინდივიდუალური დავალებების დროს შესრულებული მონაცემების კონცეპტუალური და ტექნიკური თვალსაზრისით განხილვა. მოცემულობად გამოიყენება როგორც ნატურასთან მუშაობა, ისე სტუდენტისთვის თავისუფალი ნახატის შესრულების შესაძლებლობის მიცემა. თავისუფალი ნახატის შექმნა გულისხმობს სტუდენტის მიერ ნატურასთან მუშაობის შედეგად დაგროვილი

ტექნიკური გამოცდილებით ნახატის საშუალებით საკუთარი სათქმელის გადმოცემის მოხერხება.

დიზაინის პროგრამები

დიზაინის პროგრამების კურსი მოიცავს დიზაინის პროექტირების და ვიზუალური კომუნიკაციის საფუძვლების გაცნობას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ამ კურსის განმავლობაში სტუდენტები შეიძენენ საბაზისო ცოდნას შემდეგ პროფესიულ დისციპლინებში:

- მხატვრული და კონცეპტუალური იდეის ვიზუალური მოდელირება;
- გრაფიკული დიზაინის სამუშაო ინსტრუმენტები: კომპოზიციის კანონები, ფორმა, პლასტიკა და სივრცე;
- ფერის კორექცია და ფერდაშლა.

არქიტექტურის ისტორია I, II

არქიტექტურის ისტორია შეიძლება მრავალნაირად ისწავლებოდეს. არქიტექტურის ისტორია I და II ისწავლება რეტრო-ქრონოლოგიურად, რათა სტუდენტებს თავიდანვე ქონდეთ შეხება არქიტექტურის ისტორიის აქტუალურ თემებთან და უკეთ შეძლონ ამ თემებთან თვითიდენტიფიცირება.

არქიტექტურის ისტორია I კურსი მოიცავს მე-20 და 21-ე საუკუნის სხვადასხვა არქიტექტურული მიმდინარეობების განვითარების მიმოხილვას და ამ პერიოდის არქიტექტორების, პროექტებისა და თეორიების ანალიზს. არქიტექტურის ისტორია I კურსის გლობალურ კონტექსტს რამდენიმე ამოსავალი წერტილი აქვს დანყებული 1932 წლის ნიუ იორკის მოდერნ არტ მუზეუმის (MoMA-ს) გამოფენიდან, თანამედროვე მოდერნიზმის გავრცელებამდე; ის ეხება დეკონსტრუქტივიზმის პერიოდსა და აშშ-ს 30-იანი წლების მონუმენტალიზმს, ევროპის რეკონსტრუქციას, პოსტმოდერნისტულ რევოლუციას, სტრუქტურალიზმს და ა.შ. ეს საგანი გამიზნულად გლობალურია მისი ისტორიის განხილვაში და ის პარალელურად შეეხება პერიოდს, რომელიც იწყება 1917 წლის რევოლუციით რუსეთში და საქართველოს ოკუპაციით 1921 წელს და მოიცავს: პირველი "გოსპლან"-ის შემოღებას, სტალინისტურ არქიტექტურას, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მასობრივი საცხოვრებელი

სახლების მშენებლობას, 90-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური ქაოსს, სსრკ-ს დაშლას და პოსტ-საბჭოთა პერიოდს.

არქიტექტურის ისტორია II მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნობს არქიტექტურის ისტორია ბერძნულ-რომაული პერიოდიდან მოყოლებული შუა საუკუნეების და რენესანსის ჩათვლით, რაც სრულდება მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დასაწყით. ასევე, კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართულ არქიტექტურის ისტორიას და მის კულტურულ მემკვიდრეობას.

ურბანული განვითარების ისტორია

ურბანული განვითარების ისტორიის კურსი სტუდენტს საშუალებას აძლევს გამოიკვლიოს და შეისწავლოს თუ როგორ ხდება ერთ კონკრეტულ ადგილას კონკრეტულ დროს იდეების, ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობების თანხვედრა. ეს კურსი არკვევს და სწავლობს სხვადასხვა საუკუნის ურბანული განვითარების ტენდენციების კვლევას. ბერძნულ-რომაული ქალაქებიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ქალაქებამდე, რენესანსული ხედვიდან მოდერნისტულ ურბანულ წყობამდე. ეს კურსი ურბანიზაციას ფართო ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. სტუდენტები გაეცნობიან სხვადასხვა ტიპის ქალაქებს, მაგალითად: ინდუსტრიულ, სუბ-ურბანულს, ქალაქ-ბალებს (garden cities), უტოპიურ ქალაქებს.

კურსის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თუ რა ადგილი უჭირავს საქართველოს ურბანულ ისტორიას ქვეყნის განვითარების ფართო კონტექსტში.

არქიტექტურის ძირითადი განათლება

არქიტექტურული აზროვნება I, II, III, IV

არქიტექტურული აზროვნების კურსი აგებულია იმ ძირითად დამაკავშირებელ რგოლზე, რომელიც აკავშირებს არქიტექტურულ კონცეფციას საბოლოო შედეგთან - შესრულებასთან. კურსი ძიების ორ პარალელურ ხაზს ეფუძნება: ერთი მოიცავს მშენებლობის ტექნიკას და რეპრეზენტაციას, და მეორე ეხება იმ იდეებს, რომლებიც ამ პროცესს ამოძრავებს. რამდენიმე სემესტრად დაყოფილი საგანი არქიტექტურულ თეორიას აკავშირებს იმ მშენებლობებსა და შენობების პროექტებს, რომლებიც თეორიული აზროვნების შედეგად შეიქმნა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხელოვნებას, არქიტექტურასა და ურბანიზმს შორის არსებულ გადაფარვებს.

არქიტექტურული აზროვნება I არის შესავალი კურსი, რომელიც ასწავლის სტუდენტებს არქიტექტურული აზროვნების ზოგად საფუძვლებს: თუ როგორ იაზროვნონ და იმსჯელონ როგორც არქიტექტორებმა პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე. არქიტექტურული აზროვნება I სტუდენტს უბიძგებს სხვაგვარად შეხედოს სამყაროს და დასვას შეკითხვები; მოიძიონ კავშირი არქიტექტურასა და ფორმას შორის; ისწავლოს სტრატეგიული დაგეგმვა და დააკავშიროს კონცეფცია და ანალიზი შედეგთან.

არქიტექტურული აზროვნება II აგრძელებს კვლევას და იმ საკითხების სწავლებას, რომელიც არქიტექტურული აზროვნება I-ში გაიარეს სტუდენტებმა, და ის არქიტექტურის და ურბანიზმის კონცეფციებსა და პრინციპებს მოიცავს. ის ერთი მხრივ მიმოიხილავს რეპრეზენტაციის ტექნიკას, რომელიც არქიტექტორებმა განავითარეს იმ მიზნით რომ თავიანთი ხედვის და იდეების კომუნიკაცია შეძლონ მოცემულ ადგილსა და კონტექსტში. მეორე მხრივ, ეს კურსი გააცნობს სტუდენტებს იმ ფილოსოფიასა და თეორიებს, რომლებიც ამოძრავებენ რეპრეზენტაციის ტექნიკას და მას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტექსტში აქცევენ.

არქიტექტურული აზროვნება III აგრძელებს კვლევას და იმ საკითხების სწავლებას, რომელიც არქიტექტურული აზროვნება I და არქიტექტურული აზროვნება II-ში გაიარეს სტუდენტებმა და ის არქიტექტურის თეორიის, სტრატეგიების და ურბანულ ლანდშაფტის საკითხებს ეხება. არქიტექტურული აზროვნება III მიმოიხილავს ურბანული აზროვნების ახალ მიდგომებს. ეს კურსი გააცნობს სტუდენტებს თანამედროვე კრიტიკულ თეორიებს და ფილოსოფიას იმ ფართო კონტექსტის გათვალისწინებით რაშიც არქიტექტურა არსებობს და ვითარდება.

არქიტექტურული აზროვნება IV-ში სტუდენტები სწავლობენ აკადემიური კვლევის სტანდარტებს და კვლევის შემდეგ მეთოდოლოგიებს: საარქივო, ეთნოგრაფიული, ისტორიული, მეცნიერული და თეორიული კვლევა. კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებს გააცნოს კვლევის განხორციელების ძირითადი უნარებს და მოამზადოს მომავალში უფრო სიღრმისეული კვლევისთვის.

მედია-კლასტერი I, II, III, IV

მედია-კლასტერის კურსი წარმოადგენს მედიისა და ტექნოლოგიის სავარჯიშოების ერთობლიობას, რომელიც მჭიდრო კოორდინაციაშია არქიტექტურული პროექტირების სტუდიის საგანთან. მთელი სემესტრი ეძღვნება არქიტექტურული ნამუშევრის გამოხატვის სხვადასხვა პროგრამისა და ტექნიკის გამოყენებით.

მედია-კლასტერი I წარმოადგენს შესავალს კურსს. აღსანიშნავია, რომ ეს საგანი განყენებულად და აბსტრაქტულად სწავლების ნაცვლად, არქიტექტურული პროექტირების სტუდია I-თან მჭიდრო კავშირში ისწავლება და სინქრონიზებულია სტუდიის პროექტებთან.

სტუდენტები შეისწავლიან ხელით ნახაზის და ჩანახატების შედგენას, ფიზიკური მოდელის (მაკეტის) შექმნას, არქიტექტურული პროექტირების სტუდია I-ის პროექტისთვის შექმნიან ფიზიკურ მოდელებს (მაკეტებს), დაეუფლებიან კომპიუტერულ პროგრამა CAD-ის შესავალს და მოახდენენ ხელით და კომპიუტერზე შესრულებული ნახაზების და დიაგრამების ერთ ინტეგრირებულ პროექტად წარმოდგენას.

მედია-კლასტერი II არქიტექტურული პროექტირების სტუდია II-თან მჭიდრო კავშირში ისწავლება და სინქრონიზებულია სტუდიის პროექტებთან. სტუდენტები შეისწავლიან ხელით კოლაჟების კეთებას, ინფორმაციის ანალოგის ფორმიდან ციფრულ ფორმაში გადატანას და პირიქით.

მედია-კლასტერი III მოიცავს კომპიუტერის დახმარებით შექმნილ დიზაინს და ციფრულ მოდელირებას. გარდა ამისა, ეს საგანი განყენებულად და აბსტრაქტულად არ ისწავლება, ის პირდაპირ კავშირშია არქიტექტურული პროექტირების სტუდია III-თან და სინქრონიზებულია სტუდიის პროექტებთან. სტუდენტები შეისწავლიან შენობის კონსტრუქციების ნახაზების შექმნას CAD 3, BIM-ის და ციფრული მოდელირების გამოყენებას და, ასევე, ინტეგრირებული შენობების ციფრული მოდელის შექმნას/დარენდერებას და ანალიზს.

მედია-კლასტერი IV-ის ფოკუსი არის ალტერნატიული მედია და მისი გამოყენება არქიტექტურული პროექტირების და ურბანული კვლევისთვის. გარდა ამისა, ეს საგანი განყენებულად და აბსტრაქტულად არ ისწავლება, ის პირდაპირ კავშირშია არქიტექტურული პროექტირების სტუდია IV და სინქრონიზებულია სტუდიის

პროექტებთან. კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან შეისწავლიან ვიდეოს, ფოტოგრაფიას და ანიმაციას.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია I, II, III, IV, V, VI, VII

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთავარი ღერძია არქიტექტურული პროექტირების სტუდია I, II, III, IV, V, VI და VII. ამ სტუდიების განვითარების თითოეული საფეხური ისეთ საკითხებს მოიცავს, რომელსაც დღევანდელი არქიტექტურის საკვანძო თემებთან მივყავართ. არქიტექტურა დღეს მნიშვნელოვანი სისტემების ნაწილია, ის მოიცავს ინფრასტრუქტურულ, ურბანულ და ლანდშაფტთან დაკავშირებულ საკითხებს. თანამედროვე არქიტექტორმა უნდა შეძლოს მუდამ ცვალებად გარემოში თავისუფლად მოქმედება. არქიტექტურული პროექტირების სტუდიები 21-ე საუკუნის არქიტექტურის მოთხოვნებისთვის ამზადებს სტუდენტებს.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია I-ის მთავარი თემებია: სავარჯიშოები ინტერპრეტაციაში. ეს სტუდია ორგანიზებულია სივრცის, მისი ორგანიზების და სტრუქტურას შორის მიმართებებზე. მთავარი აქცენტი კეთდება პრაქტიკულ სავარჯიშოებზე, როდესაც ხდება ტექნიკური მხარის და აბსტრაქტულ-იდეური ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირება.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია II-ის მთავარი თემაა არქიტექტურის და მისი გარემოს ურთიერთგავლენები. ისტორიული წინაპირობა, ინფრასტრუქტურული სისტემა და სოციალური გარემო არის ის კონტექსტია, რომელშიც შენობა არსებობს და ყველაფერი ეს გავლენას ახდენს მის მასშტაბზე, ფუნქციასა და ფორმაზე.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია III-ის მთავარი თემაა შენობის ტექნოლოგიები. ეს სტუდია არქიტექტურის ფუნდამენტურ საკითხს - ნაწილის/ნაწილების მთლიანობასთან კავშირს ეხება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობის სამშენებლო კონსტრუქციებს და ტექნოლოგიებს. დავალება-პროექტები მიმართულია შენობის ტექნიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლების სივრცით და დეტალურ მასშტაბებში პრეზენტაციაზე. დავალება-პროექტები მოიცავს 1:1 მასშტაბში შესრულებულ მაკეტებსაც.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია IV-ის მთავარი თემაა კრიტიკული თეორიები და ურბანული ლანდშაფტი. ეს სტუდია არქიტექტურის უფრო ღრმა კონტექსტუალურ და ისტორიულ ანალიზს აცნობს სტუდენტებს. ამ ანალიზს რეგიონალური, ურბანული და კონკრეტული ადგილის მასშტაბი განსაზღვრავს. კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან ალტერნატიული მედიის და ტექნიკის საშუალებით ადგილის ანალიზის გაკეთებას და ამ კრიტიკული კონტექსტიდან გამომდინარე ინფორმაციის პროექტირების პროცესში გამოყენებას. კურსის მიზანია სტუდენტებს კრიტიკული პოზიცია ჩამოუყალიბდეთ კითხვაზე თუ - რატომ და ვისთვის არის პროექტი გაკეთებული.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია V-ის მთავარი თემაა ინტეგრაცია. ეს სტუდია შენობის, ადგილის, ურბანული კონტექსტის, მასალების და ფორმის მთლიან ინტეგრაციას ითვალისწინებს. სტუდენტები განავითარებენ არქიტექტურულ პროექტს სხვადასხვა მასშტაბზე მუშაობით, რომელშიც გამოიყენებენ და გააერთიანებენ ისეთ საკვანძო არქიტექტურულ საკითხებს როგორებიცაა: საჯარო სივრცის ინტეგრაცია, კონსტრუქციული სისტემები, შენობის გარსი/შემომზღუდავი კონსტრუქციები და ელემენტები, შენობის ღიზანი და გარემო პირობები.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია VI არის საბოლოო სადიპლომო პროექტის მოსამზადებელი კვლევაზე ორიენტირებული სტუდია. სტუდენტები დამამთავრებელ წელს ირჩევენ ქალაქის მასშტაბის არქიტექტურულ თემებს, რომლის გარშემოც ამზადებენ პუბლიკაციას, და შენობის პროექტის იდეას.

არქიტექტურული პროექტირების სტუდია VII - სადიპლომო პროექტი არის საბოლოო სადიპლომო პროექტზე სამუშაო სტუდია. სტუდიის სტრუქტურა პროექტების სერიაზეა აგებული. სტუდენტები დამამთავრებელ წელს ირჩევენ ყველაზე აქტუალურ არქიტექტურულ თემებს, რომლის გარშემოც აკეთებენ თავის პროექტს, ნამუშევრების გამოფენისათვის მომზადებას, გამოფენის ორგანიზებას.

ტექნიკური მექანიკა

ტექნიკური მექანიკის სასწავლო კურსი მოიცავს თეორიული მექანიკის, მასალათა გამძლეობის, სამშენებლო მექანიკის დინამიკის და სეისმომედეგობის ძირითად საკითხებს, რომელიც მნიშვნელოვანია სამშენებლო ხის, ლითონის, პლასტმასის,

ქვისა და რკინაბეტონის მყარი კონსტრუქციების შესაქმნელად. ასევე, სასწავლო კურსი მოიცავს ნაგებობათა გაანგარიშებების თანამედროვე მეთოდებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საფუძვლებს. განიხილება სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციების გაანგარიშებების მეთოდები.

ქვის და რკინაბეტონის კონსტრუქციები

სასწავლო კურსი მოიცავს ქვის, არმოქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების მასალების ძირითად ფიზიკო-მექანიკურ თვისებებს და დეფორმაციულ მახასიათებლების შესწავლას; ასევე, შეისწავლის ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლებს კუმვაზე, გაჭიმვაზე, თელვაზე, ჭრაზე, ახლეჩაზე, ხანგრძლივი და მრავალჯერადი დატვირთვების დროს. ჩვეულებრივი და წინასწარდაძაბული ელემენტების გაანგარიშების საფუძვლებს; მათ კონსტრუქციულ გადაწყვეტებსა და დაპროექტების პრინციპებს.

ლითონის, ხის და პლასტმასის კონსტრუქციები

სასწავლო კურსი მოიცავს სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების სამშენებლო კონსტრუქციების (ფოლადი, ალუმინი, ხე, პლასტმასი) ცალკეული ელემენტების გეგმარების, გაანგარიშების და კონსტრუირების საფუძვლებს. სასწავლო კურსი შინაარსობრივად მოიცავს რამდენიმე ძირითად თემას, მათ შორის სამშენებლო ფოლადის, ალუმინის, ხის, პლასტმასის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, მასალის შემადგენლობას, გაანგარიშებას ზღვრული მდგომარეობის მეთოდით, დატვირთვებს და ზემოქმედებებს, შეერთების სახეობებს, გადახურვის კოჭებს, ცენტრალურ კუმვაძე მომუშავე სვეტებს, მსუბუქ ნამწეებს.

სამშენებლო ტექნოლოგიები I - გათბობა, ვენტილაცია და კონდიციონირება

სასწავლო კურსი მოიცავს ისე თემებს, როგორცაა სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებში წლის ყველა პერიოდში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ოპტიმალური პირობებით. ასევე, კურსი მოიცავს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებისათვის გათბობის სისტემის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს და გათბობის სისტემების პროექტირებას, მონტაჟს და ექსპლუატაციას თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით; ვენტილიაციის და კონდიციონირების

ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სათავსოთა ჰაერის ხელოვნური გაჯანსაღება; შენობების აერაცია.

სამშენებლო ტექნოლოგიები II - წყალმომარაგება და წყალარინება

სასწავლო კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: საწარმოების, დაწესებულებების, ქალაქისა და სოფლის დასახლებების წყალმომარაგების ნორმები. ცალკეული შენობების წყალმომარაგება, წყალსადენის სისტემის შემადგენელი ნაგებობები, მოწყობილობები, დანადგარები, სანიტარულ ტექნიკური მოწყობილობები. ჩამდინარე წყლისა და სისტემების კლასიფიკაცია, წყალსაარინებო სისტემები. წყალმომარაგებისა და წყალსაარინებო სისტემების პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია.

პროფესიული პრაქტიკა I - არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტი

არქიტექტორის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტი. არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტი არის აუცილებელი არქიტექტორის ან არქიტექტურული ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის. სწრაფად ცვალებადი გარემო და სამშენებლო სექტორში არსებული კონკურენცია აიძულებს არქიტექტურულ ორგანიზაციებს სწრაფად მოერგონ ცვლილებებს, დამკვეთის მოთხოვნებს, ბაზრის კონუქტურას და დახვეწონ პროექტების მართვის სისტემა.

სასწავლო კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა არქიტექტურული პროექტირების დაწყების და დაგეგმვის ეტაპები, სამშენებლო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და მართვა, განსახორციელებელი სამუშაოების მიხედვით არსებული რესურსის გადანაწილება (ფინანსური, დროის, ადამიანური, ტექნოლოგიური), არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტისას ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინება, შესყიდვასთან დაკავშირებული პროცესის მართვა.

კურსი ეფუძნება ამ სფეროში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის, პროექტების მართვის ინსტიტუტის (Project Management Institute), მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, მოიცავს დისციპლინაში შემავალ ძირითად სფეროებს და მიზნად

ისახავს სტუდენტებისთვის პროექტის მენეჯმენტის პრინციპების, მეთოდებისა და ტექნიკების შესწავლას.

პროფესიული პრაქტიკა II - გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს კანონმდებლობის საფუძვლები

კურსი ეხება არქიტექტურული საქმიანობის განხორციელებისთვის არსებულ კანონმდებლობას და სტანდარტებს, რომელიც მოიცავს სამ ძირითად თემას: შენობა, შენობის განთავსება, ქალაქთგეგმარებითი (ზონირებისა და პოლიტიკის) დოკუმენტები.

კურსი მოიცავს გეგმარებით და სამშენებლო სფეროს კანონმდებლობის საფუძვლებს. კურსის განმავლობაში სტუდენტები გაივლიან გეგმარებით და სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: შენობა, მისი გეგმარებითი ელემენტები და პრაქტიკული სატნდარტები; შენობასთან დაკავშირებული სავალდებულო რეგლამენტები; სანებართვო კანონმდებლობა; შენობის განთავსება მიწის ნაკვეთზე; შენობების ურთიერთგანთავსება; შენობების განთავსება საზოგადოებრივ სივრცესთან მიმართებაში; შენობების განთავსება სამეზობლო მიჯნაზე; ქალაქმშენებლობითი ზონირება; მინათსარგებლობის გენერალური გეგმები; სივრცითი მონაცემების დოკუმენტაცია.

შენობის გარემოს მართვის სისტემები

საგანი მოიცავს არქიტექტორულ ნაგებობებში იმპლანტირებული შენობათა მართვის ავტომატიზირებული სისტემების საფუძვლების შესწავლას, მათი არსის, დანიშნულების, პრაქტიკული რეალიზაციისას გასათვალისწინებელი ტექნიკურ, ეკოლოგიურ და მასა გაბარიტული ნიუანსების ცოდნას და პრაქტიკულ გამოყენებას.

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შენობათა მართვის ავტომატიზირებული სისტემების სახეობები; შენობათა ელექტრო მომარაგების და აღრიცხვიანობის საკითხები; შენობის განათების სისტემები და მართვა; გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის სისტემების არსი და მოთხოვნები; ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრობი ავტომატიზირებული სისტემების არსი და მოთხოვნები; შენობის პერიმეტრში არასანქცირებული შეღწევისგან დაცვის სისტემები და სათავსოებში დაშვების სისტემები; აუდიო -ვიზუალური შეტყობინებების და განგაშმაუწყებელი სისტემები შენობის მენეჯმენტში; ვიდეო და სხვა სენსორული მეთვალყურეობის

სისტემები შენობის მენეჯმენტში; ბუნებრივი აირით და წყალმომარაგების კონტროლის და მართვის სისტემები; ავტოპარკირების და ტერიტორიაზე დაშვების სისტემები შენობის მენეჯმენტში.

პრაქტიკული განათლება

საველე პრაქტიკა

საველე პრაქტიკა არის თავისუფალი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სტუდენტთათვის სავალდებულოა. პრაქტიკის გავლა მოიცავს სტუდენტთა ჯგუფების გამგზავრებას პრაქტიკის ადგილზე. პრაქტიკის დაწყებამდე, სტუდენტთა ჯგუფებს შორის ხდება ამოცანების გადანაწილება. შესაბამისად, პრაქტიკის მსვლელობისას, ამ ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს კონკრეტული აქტივობების განხორციელება. აქტივობები მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და შემეცნებითი მიზნების მიღწევას. საველე პრაქტიკას უძღვება ჯგუფის კოორდინატორი.

მუშაობა ორგანიზაციაში

აღნიშნული საგნის ფარგლებში სტუდენტი იღებს პრაქტიკულ გამოცდილებას მოქმედ ორგანიზაციაში მუშაობით ერთი სემესტრის განმავლობაში. მას ეძლევა შესაძლებლობა მოქმედ ორგანიზაციაში გამოიყენოს უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა, ანალიტიკური და ტექნიკური უნარები, ეს კი ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გააქტიურებას. სტუდენტს შეუძლია პრაქტიკა გაიაროს საკუთარ არქიტექტურულ კომპანიაში, თუ ასეთი არსებობს. სტუდენტი ამ პრაქტიკის შესახებ შესახებ წერს ნაშრომს, პრაქტიკის ანგარიშს.

არჩევითი საგნები

სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი უნივერსიტეტში არსებული სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან.

პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსი

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას არქიტექტურის სფეროში გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მონვეული პერსონალი (იხილეთ დანართი 1). საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული Washington University in St. Louis (Sam Fox School of Design & Visual Arts) პროფესორი, ჯესი ვოგლერი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს. პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და სხვა რესურსით.



სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა	X	X	X	X	X	
საყოველთაო მათემატიკა	X	X	X	X	X	
მსოფლიო ისტორია და საქართველო	X	X	X	X	X	X
ეკონომიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
ბუნებისმეტყველება	X	X	X	X	X	X
ანთროპოლოგია	X	X	X	X	X	X
ლოგიკა	X	X	X	X	X	
ფილოსოფია	X	X	X	X	X	X
ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	
თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები	X	X	X	X	X	X
ლიტერატურა და ხელოვნება	X	X	X	X	X	X
რაოდენობრივი და სივრცითი აზროვნების წესი	X	X	X	X	X	
დიზაინის პროგრამები	X	X	X	X	X	
ხატვის სტუდია	X	X	X	X	X	
არქიტექტურის ისტორია I	X	X	X	X	X	X
არქიტექტურის ისტორია II	X	X	X	X	X	X
ურბანული განვითარების ისტორია	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული აზროვნება I	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული აზროვნება II	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული აზროვნება III	X	X	X	X	X	
არქიტექტურული აზროვნება IV	X	X	X	X	X	X
მედია-კლასტერი I	X	X	X	X	X	
მედია-კლასტერი II	X	X	X	X	X	
მედია-კლასტერი III	X	X	X	X	X	
მედია-კლასტერი IV	X	X	X	X	X	
არქიტექტურული პროექტირების სტუდია I	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული პროექტირების სტუდია II	X	X	X	X	X	X

არქიტექტურული პროექტირების სტუდია III	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული პროექტირების სტუდია IV	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული პროექტირების სტუდია V	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული პროექტირების სტუდია VI - სადიპლომო კვლევა	X	X	X	X	X	X
არქიტექტურული პროექტირების სტუდია VII - სადიპლომო პროექტი	X	X	X	X	X	X
ლითონის, ხის და პლასტმასის კონსტრუქციები	X	X	X	X	X	
ქვისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები	X	X	X	X	X	
სამშენებლო ტექნოლოგიები I - გათბობა, ვენტილაცია და კონდიციონერება	X	X	X	X	X	
სამშენებლო ტექნოლოგიები II - წყალმომარაგება და წყალარინება	X	X	X	X	X	
ტექნიკური მექანიკა	X	X	X	X	X	
პროფესიული პრაქტიკა I - არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
პროფესიული პრაქტიკა II - გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს კანონმდებლობის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
შენობის გარემოს მართვის სისტემები	X	X	X	X	X	
პროფესიული პრაქტიკა II - გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს კანონმდებლობის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
შენობის გარემოს მართვის სისტემები	X	X	X	X	X	
საველე სამუშაო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
მუშაობა ორგანიზაციაში	X	X	X	X	X	X

დანართი 1 - აკადემიური და მონვეული პერსონალი

N	სახელი	გვარი	პოზიცია	საგანი
1	ამირან	ამბროლაძე	პროფესორი	საყოველთაო მათემატიკა
2	ლია	გოქსაძე	ასოცირებული პროფესორი	ინგლისური ენა
3	ერეკლე	ასტახიშვილი	პროფესორი	მსოფლიო ისტორია და საქართველო
4	ლალი	ეზუგბაია	პროფესორი	მსოფლიო ისტორია და საქართველო
5	თეიმურაზ	კუპრავა	ასისტენტ პროფესორი	ეკონომიკის საფუძვლები
6	გიორგი	მელაშვილი	პროფესორი	ბუნებისმეტყველება
7	ვაჟა	ბერეჟიანი	პროფესორი	ბუნებისმეტყველება
8	ანა	მგელაძე	პროფესორი	ანთროპოლოგია
9	დავით	გაბელაია	ასოცირებული პროფესორი	ლოგიკა; რაოდენობრივი სივრცითი აზროვნება
10	გაგა	ნიჟარაძე	პროფესორი	ფსიქოლოგია
11	დავით	დარჩიაშვილი	მონვეული ლექტორი	თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები
12	მიხეილ	მირაშვილი	მონვეული ლექტორი	ფილოსოფია
13	ზაალ	ჩხეიძე	მონვეული ლექტორი	ლიტერატურა და ხელოვნება
14	ჯესი	ვოგლერი	პროფესორი	არქიტექტურული აზროვნება I,II,III,IV; არქიტექტურული პროექტირების სტუდია I,II,III,IV,V,VI და არქიტექტურული პროექტირების სტუდია VII - სადიპლომო ნაშრომი
15	ვახტანგ	ლეჟავა	პროფესორი	არქიტექტურული აზროვნება I,II,III,IV; ურბანული განვითარების ისტორია; პროფესიული პრაქტიკა I - არქიტექტურული პროექტის მენეჯმენტი; პროფესიული პრაქტიკა II - გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს კანონმდებლობის საფუძვლები



16	გიორგი	ჩხეთია	ასისტენტ პროფესორი	არქიტექტურული პროექტირების სტუდია I,II,III,IV,V,VI და არქიტექტურული პროექტირების სტუდია VII - სადიპლომო ნაშრომი
17	ირაკლი	სანაია	მონვეული ლექტორი	მედია კლასტერი I,II,III,IV
18	სოფიო	მირზიაშვილი	მონვეული ლექტორი	მედია კლასტერი I,II,III,IV
19	მარიამ	გვახარია	მონვეული ლექტორი	დიზაინის პროგრამები
20	თეა	გვეტაძე	მონვეული ლექტორი	ხატვის სტუდია
21	ალექსი	ჯავახიშვილი	მონვეული ლექტორი	არქიტექტურის ისტორია I, II
22	ვახტანგ	არაბიძე	მონვეული ლექტორი	ლითონის, ხის და პლასტმასის კონსტრუქციები
23	კონსტანტინე	ჩხიკვაძე	მონვეული ლექტორი	ტექნიკური მექანიკა
24	ელდარდ	კუხალაშვილი	მონვეული ლექტორი	სამშენებლო ტექნოლოგიები II - ნყალმომარაგება და ნყალარინება
25	თეიმურაზ	ხუნდაძე	მონვეული ლექტორი	შენობის გარემოს მართვის სისტემები
26	ქეთევან	მღივანი	მონვეული ლექტორი	ქვისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები
27	სიმონ	ბარამიძე	მონვეული ლექტორი	სამშენებლო ტექნოლოგიები I - გათბობა, ვენტილაცია და კონდიციონერება
28	შალვა	თავაძე	სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი	საველე პრაქტიკა; მუშაობა ორგანიზაციაში